ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 172

10 ივლისი
"___"_____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №28-ის მიმდებარედ არსებული 45კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.042) შპს „მაქრო ქონსთრაქშენისთვის" (ს/ნ: 445433120) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №28-ის მიმდებარედ არსებული 45 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.042) შპს „მაქრო ქონსთრაქშენისთვის" (ს/კ 445433120) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.499.785 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №28-ის მიმდებარედ არსებული 45 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსთრაქშენისთვის" (ს/ნ: 445433120) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 8100 (რვა ათას ასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**